

## ქართველური ლექსიკის ისტორიიდან - I

ქართველურ ლექსიკას მრავალი თაობის გამოჩენილი სპეციალისტი იკვლევდა; შესაბამისად, კარგადაა შესწავლილი როგორც საერთოქართველური, ასევე ისტორიული და თანამედროვე დიალექტური მასალა. ქართველური ლექსიკის კვლევის თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია, ერთი მხრივ, საერთოქართველურში რეკონსტრუირებული მასალის შეპირისპირება სხვა იბერიულ-კავკასიური, სემიტური, ინდოევროპული, თურქული ენების სათანადო მონაცემებთან და **საერთოქართველური ფუძეების ისტორიისა და წარმომავლობის დადგენა** (საერთოკავკასიურია, საკუთრივ ქართველურია, ნასესხებია საერთოქართველურში და სხვ.). არსებითია, ასევე, საერთოქართველური და დიალექტური ფორმების შეპირისპირებით **მკაცრად დადგინდეს დიალექტური ვარიანტების წარმოქმნის სქემები**: არაიშვიათად, სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი ქართველური კილოდან მეორეში ნასესხებადაა მიჩნეული საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვები (მაგ., ცხენი, ზღვა, თაკარუა, თაკილი, თანთალი, თარი/მთავარი, თელი/მთელი და მრავალი სხვა...)<sup>1</sup>.

ნაშრომში განვიხილავთ ერთ საერთოქართველურ სიტყვას - **აგურს**, რომელსაც პარალელები ეძებნება ბევრ არამონათესავე ენაში; შესაბამისად, ამ სიტყვის ფუძის წარმომავლობის ძიებისას, ვიმსჯელებთ სესხების მიმართულებისა და დროის შესახებ.

ს.ქართვ.: **აგურ-ი**

სამწიგ. ქართ.: **აგურ-ი**

<sup>1</sup> არის სხვა სახის უხერხული შემთხვევებიც: ახალნასესხები სიტყვა უძველეს ქართულ/ქართველურ სიტყვად ცხადდება; მაგ., ქართულში, შესაბამისად, მეგრულ კილოშიც "დინო" ნასესხებია ირანულიდან (ვრცლად იხ.: ნ. ბართია, ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ქართულ-ირანული ურთიერთობანი, საერთაშორისო კონფერენცია, II, ქუთაისი, 2005); ამ ფაქტზე ყურადღებას არ შევნიშობდით, რომ ერთი საშიშროება არაა: იმპერიული სქემებისგან გათავისუფლებული ქართველოლოგიის კვლევის შედეგების იგნორირების ფონზე ხდება ფსევდომეცნიერული, ურაპატრიოტული მოსაზრებების აღმოჩენად გასაღება და ცენტრალური ტელევიზიების თუ პრესის საშუალებით საზოგადოების დეზორიენტირება. ერთ-ერთი ამგვარი გახმაურებულ "შემთხვევას" წარმოადგენს "ფესტოსის დისკოს" წაკითხვა "არქაული მეგრულის" მიხედვით მათემატიკოს ზია კვაშილავას მიერ: შეგვიძლო ეს ფაქტი სხვა მრავალ შარლატანობასთან გაგვეთანაბრებინა და აღნიშვნის ღირსი არ გაგვეხადა, რომ არა ამ მეოცნებე ავტორის მცდრობა. თავის თანამოაზრედ და მხარდაცემრად წარმოადგინოს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. თვალსაჩინოებისათვის ერთ კონკრეტულ მაგალითს განვიხილავთ: გ. კვაშილავამ ფესტოსის დისკოზე "წაკითხა" უძველესი მეგრული სიტყვა "დინო" ("ერთ გვარში პაპის შთამომავლები").

შეგნიშნავთ: პიქტოგრაფიული წარწერები ნახატთა ერთობლიობაა, შესაბამისად, ყველა ენის ტექსტად შეიძლება გაიზაროს კაცმა; მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი საქმე უფრო "საინტერესოდ" გააქვს: გ. კვაშილავამ "დინო" 38 საუკუნის წინანდელ ფესტოსის დისკოზე დაფიქსირებულ ძველ მეგრულ სიტყვად ჩათვალა, სინამდვილეში კი ეს ლექსიკური ერთეული ქართულში (ე.ი. მეგრულ კილოშიც) სპარსულიდანაა ნასესხები არაუმეტეს 20 საუკუნის წინ (ტ.ფ.).

ზან. (მეგრ.): \*ო-გურ-ი, შდრ. ოგურ-ხინჯ-ი ხევი (ტობ.) (მ. ჩუხუა, 2003, გვ. 49).

მ. ჩუხუა ფიქრობს, რომ მეგრულში დადასტურებული ანგურა "აგური" ფორმა "ქართულ აგურ-თან ადაპტირებული ფუძეა"; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი აზრით, მეგრული ანგურა ქართულის გავლენითაა წარმოქმნილი, ხოლო ა-გურ- ფუძის კანონზომიერი შესატყვისია, ზანური ეკვივალენტია - ოგურხინჯ-ი "ხევი" (სოფ. ფახულანი) სიტყვაში შემონახული ოგურ- ფუძე: შდრ.: ოგურ-ხინჯ-ი = აგურ-ხიდ-ი, შდრ.: ჭუბურ-ხინჯ-ი = წაბლის ხიდი, ბული(შ)-ხინჯ-ი = ბალის ხიდი, თხუმ-ხინჯ-ი = თხმელის ხიდი... რომლებიც ადგილის (დედებულის) სახელებია სამეგრელოში. მ. ჩუხუას აზრითვე, ქართ. ა - ზან. ო "შეპირისპირება გამორიცხავს აგურ-ი სიტყვის სპარსულიდან წარმომავლობის შესაძლებლობას" (მ. ჩუხუა, იქვე).

მ. ჩუხუას მსჯელობა აჩენს ორ კითხვას:

1. ზან. ანგურა ფორმა ქართულიდან (უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით: სამწიგნობრო ქართულიდან, მეზობელი კილოდან) დაშკვიდრებულია თუ საერთოქართველური ფუძის ერთ-ერთი მეგრული ვარიანტია (ანგური/\*ოგური)?

შდრ., მაგ., რ. აბაშიამ მეგრულში გამოავლინა მრავალრიცხოვანი მასალა, რომელიც ნათელყოფს: ამ ქართველურ კილოშიც საერთოქართველური ფუძეები რამდენიმე ვარიანტით დასტურდება. ასეთ მასალას ლოგიკური ახსნა ესაჭიროება და არა იგნორირება; ვფიქრობთ, უნდა გადაისინჯოს დებულება, რომ საერთოქართველური ფუძის ფორმოვარიანტი ადეკვატი ზანურ-სვანური სიტყვა (რომელიც მოსალოდნელი იყო "კანონზომიერი" ტრანსფორმირებული ვარიანტით) "ქართულიდანაა" ნასესხები; კერძოდ:

ჯერ ერთი, მეგრულიც ქართულია, არქაული ქართულის (resp. ქართველურის) ნაირსახეობაა და, ნაკლებლოგიკურია, რომ საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვა მოცემულ ქართველურ კილოში ნასესხობად გამოვაცხადოთ;

მეორეც, ვფიქრობ, არგუმენტირებული არ არის მოსაზრება, რომ მაგ., ს.ქართვ. ა-ს ყველა შემთხვევაში ზანურში უნდა მოეცა ო; სხვადასხვა კილოკაურ ველში ზანურშივე შეიძლებოდა გაჩენილიყო ანგურა/ოგურ ვარიანტები; შდრ., მაგ., ზანურის ანალოგიური მასალა: აბედი/ობედი, ოგაფა/აგაფა "კავი", ადრე/ორდო/ოდრო, ოკოხალე/უკახალე "უკან", ალაგე/ოლაგე, ალაგინძე/ოლაგინძე "ოდნავ გრძელი", როწყუა/რანწყუა "დაწყობა რისიმე"... დიალექტური ვარიანტების საკითხს საგანგებოდ სხვაგან შევხებით.

2. ქართველური ა-გურ-|ო-გურ- შეპირისპირება რატომ გამორიცხავს ქართული აგურ-ი სიტყვის უცხოენოვან წარმომავლობას? ხომ შეიძლებოდა აგურ- ძირი საერთოქართველურს ან საერთოკავკასიურს ესესხა საშუალო სპარსულიდან, არამეულიდან და სხვ.? ფაქტია, რომ აგური სპარსულშიც დასტურდება; შდრ., სპარსული [ajor]//[agur] "აგური" და ქართველური აგურ- ფორმების სემანტიკური და ფორმოვარიანი იგივეობა აშკარაა.

ვ. აბაევის აზრით, ქართული აგური, არამეული აგურ, სპარსული აჯორ და არაბული აჯურ მომდინარეობს ასირიული აგურურ ფორმიდან;

მხოლოდ ვარაუდით, ოსური აგური ფორმისთვის ამოსავალია ქართული ფორმა (გ. აბაევი, 1958).

ჩვენი აზრით, ვერ გამოირიცხება ქართული აგურ- ფუძის უცხოურ წარმოშობა:

აგური (გამომწვარი ალიზი), როგორც სამშენებლო მასალა, უფრო დასაბამიანია უნდა ყოფილიყო აღმოსავლური სამყაროსთვის, ვიდრე - ქართველურისთვის (ტრადიციულად, კავკასიაში უფრო ხის მასალა გამოიყენებოდა). გარდა ამისა, აგურ- დიალექტური ნაირგვარობით დასტურდება მხოლოდ სპარსულში, არამედ ტაჯიკურშიც (ტაჯიკური ლექსიკონი, 1969), სომხურშიც (მალხანციანცი, 1945), ქურთულშიც (გ. ბაკაევი, 1957) და რაც მთავარია, აქადურშიც (მ. ნედოსპასოვა, 1978, გვ. 8)...

ივარაუდება, რომ სპარსული ფორმაც მომდინარეობს არამეულიდან არამეულისთვის კი ამოსავალი ჩანს აქადური ვარიანტი). რამდენადაც ქართველურთან ყველაზე ახლო მდგომი ფორმაა არამეული აგურა, დასტურებულია, რომ საერთოქართველურმა ეს სიტყვა ისესხა არამეულიდან უფრო წელთაღრიცხვის დასასარულს. შდრ.: მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ წარდგენილ ამ დროს ივარაუდება საერთოქართველურის არსებობა<sup>2</sup>.

### ლიტერატურა

გ. აბაევი, 1958 - Абаев В., Историко-этимологический словарь осетинского языка, 1958.

მ. ანდრონიკაშვილი, 1966 - მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.

გ. ბაკაევი, 1958 - Бакаев Г., Кургско-Русский словарь, Москва, 1957.

ნ. ბართაია, 2005 - ნ. ბართაია, ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ქართულ-ირანული ურთიერთობანი, საერთაშორისო კონფერენცია, II. ქუთაისი, 2005.

მალხანციანცი, 1941-1945 - მალხანციანცი, სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერევანი, 1941-1945.

მ. ნედოსპასოვა, 1979 - მ. ნედოსპასოვა, უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში, თბ., 1978.

ტაჯიკური ენის ლექსიკონი, მოსკოვი, 1969.

ტ. ფუტყარაძე, 2005 - ტ. ფუტყარაძე, ქართველები, I, ქუთაისი, 2005.

მ. ჩუხუა, 2000-2003 - მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

<sup>2</sup> საერთოქართველურში დადასტურებულია სპარსული სიტყვებიც, რომლებიც ქართველურ კილოებში შესატყვისობებს იძლევა; მაგ.: ზარი, კუართი, ტყე, ძეწვეი, წით-ს/წით-ელი... დიდი ალბათობით, წარმოდგენილი ფორმები ნასესხებია 20-25 საუკუნის წინ (სათანადო მსჯელობისათვის იხ. მ. ანდრონიკაშვილი, 1966); არ გამოირიცხება ისიც, რომ მ. ანდრონიკაშვილის მიერ სპარსულად მიჩნეული ზოგი ფუძე ძველი წინააზიური ან საერთოკავკასიური ენებიდან მოდიოდეს სპარსულშიც და ქართველურშიც; მაგ., მ. ანდრონიკაშვილი სპარსულ-სკვითურ ნასესხობებად მიიჩნევს ვერძ-, ზან-/ძან-, ფესვ-, ზამ-, კელ- ფუძეებს, თუმცა, მათ შესატყვისები ეძებნებათ სხვა იბერიულ-კავკასიურ-წინააზიურ ენებშიც... (ტ. ფუტყარაძე, 2005, გვ. 295).

**NOMADI BARTAIA, TARIEL PUTKARADZE****FROM THE HISTORY OF KARTVELIAN WORDS**

The Paper discusses an origin of a Kartvelian word *aguri* (brick) the parallels of which can be found in unrelated to the Georgian languages. In the attempts of revealing the origin of the stem of the word we discuss the direction and time borrowing.

V. Abaev says that Georgian *aguri* comes from Arameic *agur*; Persian *ajar* and Arabic *ajur* comes from Assyrian *aguuru*. He also thinks that Ossetian *agur* form has the origin in Georgian *agur*. According to M. Chukhua the contrast of Georgian /a/ with the Zan /o/ excludes the foreign origin of *agur*.

We think that *aguri* (baked clay) as the building material is characteristic to the Eastern world rather than that of Kartvelian. Traditional building material was wood in Caucasus. Besides /*aguri*/ form is attested not only in Persian but in Tajik, Armenian, Kurdish, and Acadian...

As far as the Aramaic *agura* it sounds closest to the word had already existed in the common Kartvelian from Aramaic. Cf.: The existence of the common Kartvelian is considered in the scientific literature from this period.